

შაპ 663.95(479.22)

შ. ლომინაძე, ლ. ბიგვავა, ფ. ჭანუშვაძე, ქ. ჩიკაშვა, გ. ჯიჯიეშვილი  
ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

## ძარღანული ორგანული ჩაის ზარმობის ფიქციური დამუშავება –ცნობა 1. სავეგეტაციო ცდა

კელეეა ხორციელდება საქართველის ეროვნული სამეცნიერო უონდის  
მიერ დაფინანსებული პროექტის GNSF/ST 08-8503 ფარგლებში

ორგანული სასოფლო-სამეცნიერო მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის და ორგანული სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტის მონაცემებით დღეისათვის ორგანული წარმოება მსოფლიოში 32მლნ ჰექტარს 'მოიცავს, ხოლო ორგანულად მიღებული საკვები პროდუქტებისა და სასმელების გლობალურმა გაყიდვებმა 46 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ასევე სწრაფად იზრდება ორგანული ჩაის წარმობა. ხიმ ანკის მონაცემებით, წარმოების მოცულობამ 30000 ტონას მიაღწია, რაც ჩაის მსოფლიო წარმოების 1%-ს შეადგენს.

სამწუხაროდ საქართველოში ორგანული ჩაი პრაქტიკულად არ იწარმოება, თუმცა არსებობს გარემოებები, რომლებიც საფუძველს ქმნიან ჩაის ორგანულად მოვლა-მოყენის პრაქტიკის გასავრცელებლად, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

–ჩაის საექსპორტო დანიშნულება და მსოფლიო ბაზარზე ორგანულ ჩაიზე არსებული მაღალი პრემიალური ფასდანამატი: ტორფის, ცეოლითის, ფოსფორიტის, დოლომიტის, მურა ნასშირისა და სხვა ადგილობრივი აგრომადნების სერიოზული მარაგები; ჩაის მოვლა-მოყენისა და გადამზადების სფეროში მაღალკულიფიციური მეცნიერებისა და სპეციალისტების არსებობა; ორგანული პროდუქტების საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზით უზრუნველყოფა.

ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ათეული წლების მანძილზე იქვლევდნენ მინერალურ (NPK) ფონზე ორგანული კეების ზემოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, ჩაის მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მოსაელიანობასა და ხარისხზე. რაც შეეხება ჩაის მოვლა-მოყენის შესწავლას მსოფლი ინგრენების გამოყენებით ვფიქრობთ, რომ საყოელთაო ქიმიზაციის ფონზე, ყოფილ

საბჭოთა კავშირში იგი ერთგვარად ტაბულადებულ თემას წარმოადგენდა და სავარაუდოდ სწორედ ამის გამო, ჩაის ნიადაგების ორგანულად განოყიერების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები პრაქტიკულად არ მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, კვლევითი საზოგადო, რომელთა მიზანს ქართული ორგანული ჩაის წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება წარმოადგენს, მნიშვნელოვანია როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით.

სტატიის ექსპრიმენტული ნაწილი უყრდნობა ამ მიმართულებით 2009 წელს ჩატარებული სავეგეტაციო ცდებისა და ლაბორატორიული ცდების შედეგებს.

პირველ ეტაპზე ნიადაგის გაკულტურების ფორმების შედარებითი დახასიათებისათვის სავეგეტაციო ცდისათვის შერჩეულ იქნა ყამირი, მინერალური (NPK) და ორგანული სასუქებით სანგრძლივად განოყიერებული წითელმიწა ნიადაგები. გარდა ამისა, ცდის სქემაში, NPK-თი განოყიერებული ნიადაგის ფონზე ისწავლებოდა ორგანული სასუქების -ნაკელისა და ტორფის გავლენა ახალგაზრდა ჩაის მცენარესა და ნიადაგში მიმდინარე პროცესებზე. საცდელი ნიადაგების დამუშავების შემდეგ სამივე სასის ნიადაგიდან მომზადებულ იქნა სინჯები აგროქიმიური დახასიათებისათვის (ცხრილი 1).

#### ცხრილი 1. სავეგეტაციო ცდის ნიადაგის აგროქიმიური დახასიათება

ნიმუშის დასახელება	ნიადაგის აღების სიღრმე, სმ	pH KCl-ის სუსპენზი- აში	გაცვლითი მჟავიანობა მგ მგ- 100გ ნიადაგში	ჰუმუ- სი, %	მოძრავი ფორმები მგ 100გ ნიადაგში		
					ჰიდრ. №	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O
ყამირი ნიადაგი	0-20	4. 1	6. 5	4. 8	19. 4	9. 4	12. 0
NPK-თი ხანგრძლ-ივად განოყიერებული	0-20	3. 8	10. 2	5. 1	26. 3	30. 5	15. 5
ორგანული სასუქებით ხანგრძლივად განოყიერებული	0-20	4. 0	8. 5	5. 5	31. 2	35. 7	18. 2

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ყველა ნიადაგი მუავეა, pH-ის მაჩენებელი ყველაზე დაბალია (3,8) მინერალური სასუქებით (NPK) განოყიერებული ჩაის პლანტაციიდან აღებული ნიმუში; რაც შეეხება გაცვლითი მჟავიანობის მაჩვენებელს, სადაც იგი 10.2გ უკვივალენტია 100გ ნიადაგში; ნიადაგის ნაყოფიერების ძირითადი მაჩვენებელი- ჰუმუსი ყველაზე მაღალია ორგანული სასუქით განოყიერებულ ნიადაგში 5.5%. მცენარისათვის აღვილად შესათევისებელი პირითადი საკები ელემენტებიდან ჰიდროლიზური აზოტის შეზრდელობა ორგანული და მინერალური სასუქებით განოყიერებულ ნიადაგში ოპტიმალურია, ხოლო ყამირ ნიადაგში იგი საშუალო დონეზეა. რაც შეეხება მოძრავ ფოსფორსა და გაცლით კალიუმს, განოყიერებულ ნიადაგებში მათი შემცველობა საშუალო დონეზეა, ხოლო ყამირი ნიადაგი ამ ელემენტების დაბალი უზრუნველყოფით გამოირჩება. ნიადაგის ორგანული ნივთიერების მინერალიზაციის პროცესებზე დაკვირვების მიზნით გამოკვლევები ჩატარდა ორ ვადაში ივლისი-აგვისტო (ცხრილი 2).

დაკვირვების პირველ ვადაში -ივლისში, მინერალიზაციის პროცესი ყამირ ნიადაგზე შედარებით შეზღუდულია და ნიტრატების შემცველობა შხვლოდ 4.25მგ-ია 100გ ნიადაგში. ორგანული სასუქებით გაკულტურებისას მინერალიზაცია უფრო ინტენსიურია და ნიტრატების შემცველობა ორჯერ და მეტად იზრდება. ნაევლის დამატებით პროცესი კიდევ უფრო აქტიურდება და ნიტრატების მაჩენებელი უკვე 13.70მგ-ია 100გ ნიადაგში. იმავე ფონზე ტორფის დამატება ნიტრიფიკაციის პროცესზე ასევე დადებითად მოქმედებს, მაგრამ იგი ნაკელის გამოყენებით მიღებულ შედეგს გერ უტოლდება.

გამოკვლევის მეორე ვადაში -აგვისტოში, ვარიანტებს შორის კანონზომიერება შენარჩუნებულია, თუმცა სახეზეა ნიტრიფიკაციის პროცესის არსებითი გაძლიერება. სავეგეტაციო ცდის ნიადაგებში ბიოლოგიური აქტივობის შესწავლისა და მობილიზაცია-იმობილიზაციის გამოკვლევის მიზნით დაკვირვებებს ვახდენდით ნიადაგში აზოტის ამიაკური (წყალსნადი და შთანთქმული) ფორმების დინამიკაზე. კულების შედეგები გვიჩვენებს, რომ აზოტური ნაერთების წყალსნადი და შთანთქმული ფორმები ყამირ ნიადაგზე ორივე ვადაში მინიმალურ დონეზეა. ორგანიკის ხანგრძლივად გამოყენების

და მინერალურ (NPK) ფონზე ნაკელის დამატებით მათი დაგროვება მნიშვნელოვნად იზრდება რაც ძირითადად მიკრობიოლოგიური პროცესების გააქტიურებით აიხსნება. ორგანული ნახშირბადისა და საერთო აზოტის თანაფარდობა წარმოადგენს ნიადაგში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების მაჩვენებელს. მესამე ცხრილში მოცემულია ჰუმუსის, ორგანული ნახშირბადის და საერთო აზოტის თანაფარდობის ცვალებადობა ვარიანტების მიხედვით.

**ცხრილი 2. ორგანული სახუქების გაფლენა ნიადაგში მინერალიზაციის დინამიკაზე და აზოტოვანი ნაერთების მობილიზაციაზე (მგ 100გ ნიადაგში)**

მაჩვენებლები	I ვადა - ივლისი			II ვადა - გვისტო		
	წყალხსნა-დი ამიაკი N/NH <sub>3</sub>	შთანთქმუ-ლი ამიაკი N/NH <sub>3</sub>	ნიტრა-ტები N/NO <sub>3</sub>	წყალხსნა-დი ამიაკი N/NH <sub>3</sub>	შთანთქმუ-ლი ამიაკი N/NH <sub>3</sub>	ნიტრა-ტები N/NO <sub>3</sub>
უამირი ნიადაგი	0.65	7.75	4.25	1.35	12.51	6.22
NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებული	0.86	9.23	6.17	1.77	14.71	9.17
ორგანული სასუქებით ხანგრძლივად განოყიერებული	1.92	12.31	9.55	1.90	14.70	14.62
NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებული + ნაკელი 20გ/ჰა ანგ.	1.60	15.50	13.70	2.65	16.22	19.50
NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებული + ნაკელი 20გ/ჰა ანგ.	1.45	14.30	12.61	2.45	17.60	18.61

**ცხრილი 3. ჰუმიფიკაციის პროცესებზე დაკვირვების შედეგები სავეგტაციო ცდის ნიადაგებში და შთანთქმის ტევადობის ცვალებადობა**

მაჩვენებლები	ჰუმისი, %	ორგანული ნახშირბადი, %	საერთო N %	C/N შეფარდება	შთანთქმის ტევადობა მგ/ჰა 100გ ნიადაგში	
					შთანთქმის ტევადობა მგ/ჰა 100გ ნიადაგში	შთანთქმის ტევადობა მგ/ჰა 100გ ნიადაგში
უამირი ნიადაგი	5.45	3.60	0.28	11.2	19.0	19.0
NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებული	6.80	3.94	0.33	12.0	20.0	20.0
ორგანული ხასუქებით ხანგრძლივად განოყიერებული	10.20	5.91	0.47	12.6	29.0	29.0
NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებული + ნაკელი 20გ/ჰა ანგ.	7.20	4.17	0.34	12.3	22.0	22.0
NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებული+ტორფი 20გ/ჰა ანგ.	6.80	3.44	0.33	11.9	21.0	21.0

მესამე ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ყამირ ნიადაგთან შედარებით (3.6%) ჰუმისის მატების პროცესიულად მინერალური სასუქების გამოყენებისას იზრდება ორგანული ნახშირბადის შემცველობა (3.94%). ეს ზრდა კიდევ უფრო მკვეთრია ნიადაგის ორგანულად განოყოფებისას (5.91%). არსებითია საერთო აზოტის მატება ყამირ ნიადაგთან შედარებით (0.28%) მინერალური სასუქებით (0.33%) და ორგანიკით გამდიდრების (0.47%) ფონზე. თანაფარდობა C/N ყამირ ნიადაგზე 11.2 შეადგენს, მაშინ როცა ეს სიდიდე NPK-თი და ორგანიკით განოყიერებისას შესაბამისად შეადგენს 12.0 და 12.6-ს.

მესამე ცხრილში ნიადაგში შთანთქმის ტევადობის ცვალებადობაზე მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ყამირთან შედარებით (19.0 მგ/ეკგ) NPK-ს ხანგრძლივი გამოყენებისას იგი უმნიშვნელოდ -1.0მგ/ეკგ-ით არის გაზრდილი, მაშინ როცა ორგანულად განოყიერებისას სხვაობა 10.0 მგ/ეკგ-ს აღწევს; რაც შეეხება NPK-თი ხანგრძლივად განოყიერებულ ნიადაგზე ნაკელისა და ტორფის დამატებას, შთანთქმის ტევადობის მატება აქაცია, თუმცა უმნიშვნელო -1-28გ/ეკგ 100გ ნიადაგში.

ამრიგად, ორგორც მინერალური, ასევე ორგანული სასუქების გავლენა შთანთქმის ტევადობის ზრდაზე რელიეფურია და განსაკუთრებით მკვეთრად ორგანული სასუქებით ხანგრძლივად განოყიერებისას გამოიხატება, რაც ცხადია აუმჯობესებს ასეთი ნიადაგის შთანთქმის უნარიანობას და ბუფერულ თვისებებს.

ისწავლებოდა აგრეთვე მინერალიზაციის ხარისხის გავლენა ჩაის მცენარის ზრდა-განვითარებასა და ნიადაგში მიმდინარე პროცესებზე (ცხრილი 4). ცხრილიდან ჩანს, თუ ორგორ მოქმედებს ნიადაგის ორგანული და მინერალური განოყიერება ჩაის მცენარის მიწისზედა ნაწილებისა და ფესვთა სისტემის განვითარებაზე. ჩაის მცენარის მიწისზედა მასის ზრდა ყველაზე ინტენსიურად ყამირ ნიადაგზეა და ამ ეარიანტში თანაფარდობამ მიწის ზედა ნაწილისა და ფესვთა სისტემას შორის მაქსიმალურ სიდიდეს (1.49) მიაღწია. საინტერესო მონაცემებია შილებული ჩაის მცენარის მიწისზედა ნაწილისა და ფესვთა სისტემის განვითარებაზე ორგანული ხასუქებით ხანგრძლივად განოყიერებულ ნიადაგზე; მიწისზედა მასის განვითარების ინტენსიობა ნაკლებია (7.4), ეიდრე სრული მინერალური (NPK) სასუქებით განოყიერებულ (8.6) და ყამირ ნიადაგზე (9.7). ფესვთა სისტემის განვითარების შემთხვევაში კი საწინააღმდეგო მონაცემებია, კერძოდ, სხვაობა ორგანიკით განოყიერებული ნიადაგის სასარგებლოდ თითქმის 36%-ია NPK-თან და 40% ყამირთან შედარებით.

ცხრილი 4. ორგანული სასუქების გავლენა ასალგაზრდა ჩაის მცენარის ზრდა-განვითარებაზე

მაჩვენებლები გარიანტები	მცენარეული მასა, გ	%	მიწისზედა ნაწილის მასა, გ	%	ფესვთა სისტემის მასა, გ	%	მიწისზედა ნაწილი/ფესვ- თა სისტემა
ყამირი ნიადაგი	$16.23 \pm 0.79$	106.9	$9.73 \pm 0.56$	113.5	$6.5 \pm 0.61$	96.6	1.49
NPK-თი ხანგრ. განოყიერებული	$15.33 \pm 0.38$	100	$8.57 \pm 0.71$	100	$6.73 \pm 0.67$	100	1.27
ორგ. ხანგრ. განოყიერებული	$16.50 \pm 0.73$	107.6	$7.37 \pm 0.58$	86.0	$9.13 \pm 0.18$	135.7	0.81
NPK-თი ხანგრ. განოყიერებული + ნაკელი 20გ/ჰა ანგ.	$17.57 \pm 0.65$	114.1	$8.00 \pm 0.8$	91.4	$9.57 \pm 0.64$	142.2	0.82
NPK-თი ხანგრ. განოყიერებული + ტორფი 20გ/ჰა ანგ.	$15.67 \pm 0.54$	107.2	$6.27 \pm 0.8$	73.2	$9.40 \pm 0.45$	139.7	0.67

ცხრილი 5. ორგანული სასუქების გავლენა პუმუსის ფრაქციულ შემადგენლობაზე

მაჩვენებლები გარიანტები	C საერთო ორგანული %	პუმუსი (CX17) %	C ორგ. გამოყოფილი Na <sub>2</sub> P <sub>2</sub> O <sub>7</sub> +NaOH	პუმინური ნაერთების C-ის ცალკეული ჯგუფები			C პუმ- ინის /C უელვო მუავები
				პუმინის მუავები	ფულ- კო მუავები	ნარჩენ- ბი	
ყამირი ნიადაგი	3.20	5.45	135/37.5	0.46/12.8	0.89/84.7	1.85/62.2	0.52
NPK-თი ხანგრ. განოყიერებული	3.94	6.80	145/36.8	0.55/12.7	0.90/23.6	2.54/64.4	0.64
ორგ. ხანგრ. განოყიერებული	5.91	10.20	1.85/31.4	0.90/15.2	0.94/15.9	3.89/65.8	0.95
NPK-თი ხანგრ. განოყიერებული + ნაკელი 20გ/ჰა ანგ.	4.17	7.20	1.48/35.5	0.58/13.9	0.90/21.6	2.89/64.6	0.64
NPK-თი ხანგრ. განოყიერებული + ტორფი 20გ/ჰა ანგ.	3.44	6.80	1.38/40.1	0.55/15.9	0.83/24.1	2.06/59.9	0.66

მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ ნიადაგის გაკულტურების ხარისხი და მისი ორგანულად განვითარება პირველ რიგში ფესვთა სისტემის განვითარებას უწყობს სელს, რაც შემდგომში მცენარის მიწისზედა ნაწილის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

ჰუმიფიკაციის პროცესების მიმდინარეობაზე ორგანული და მინერალური სასუქების გავლენის შესწავლის მიზნით, ნიადაგის ჩიმუშებში ვარიანტების მიხედვით ისაზღვრებოდა ჰუმუსის, ორგანული ნახშირბადისა და ცალკეული ჰუმინური ნაერთების შემცველობა. მიღებული შედეგებიდან ირკვევა (ცხრილი 5), რომ ორგანული ნახშირბადის შემცველობა პიროვოსფორმეტავა ნატრიუმის და ნატრიუმის ტუტის ნარევის გამონაწურში 1.35-1.85%-ია; ჰუმუსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ყამირ ნიადაგშია, გაკულტურების მიხედვით ის იზრდება და მაქსიმუმს (1.85) ორგანიკით ხანგრძლივი განვითარების ვარიანტში აღწევს, ხოლო NPK-ს ხანგრძლივი გამოყენების ფონზე ნაერლის დამატებით გამონაწურში ორგანული ნახშირბადის მატების მხოლოდ ტენდენცია (1.48%).

ჰუმინური ნაერთების ცალკეული ჯგუფების შემცველობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჰუმინის მუკის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ყამირ ნიადაგშია დაფიქსირებული (0.46%), შემდეგ იზრდება NPK-თი ხანგრძლივი განვითარებისას (0.55%) და აღწევს მაქსიმუმს (0.90%) ორგანული სასუქებით ხანგრძლივად განვითარებულ ნიადაგში.

ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრისას, როცა ჰუმინისა და ფულვო მუკების თანაფარდობა ერთს უახლოვდება ან აჭარბებს, იმის მაჩვენებელია, რომ ნიადაგი მაღალ ნაყოფიერი და გაკულტურებულია. ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებით ეს თანაფარდობა ორგანული სასუქებით ხანგრძლივად განაყოფიერებულ ნიადაგში 0.95%-ს აღწევს, რაც კიდევ ერთხველ მიუთითებს, რომ ორგანული სასუქების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას და შესაბამისად სელს უწყობს მცენარის ნორმალურ ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობას.

**ავტორები გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდიან აკად. გ. ცანაგას**

**Sh. Lominadze, L. Bigvava , F. Tchanukvadze , K.Chikashua G.Jijleshvili**  
Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry

**Development technology of production Georgian organic tea**

### **Summary**

According to the authors, Georgia has multiple factors positively affecting the development of the organic tea within the country premises. It has been shown that usage of organic fertilisers significantly increases output of topsoil and facilitates proper growth and productivity of the tea plant itself.

**Ш. Ломинадзе, Л. Бигвава Ф. Чануквадзе, К. Чикашва, Г. Джиджишвили**  
Институт чая, субтропических культур и чайной промышленности

**Разработка технологии производства Грузинского органического чая**

### **Резюме**

Автори полагают, что для развития производства органического чая в Грузии существует множества положительных факторов. В статье показано, что применение органических удобрений существенно увеличивает плодородие почвы и продуктивность чайных растений.